ხელშეკრულება 11/11/7

ქ. თბილისი

11 ნოემბერი 2016 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთი მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი **„საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი“**, წარმოდგენილი მისი გენერალური მენეჯერის **ნინო ნახუცრიშვილის** სახით (შემდგომ- „შემსყიდველი”) და მეორე მხრივ **შპს “ჯი-თი-ვი“**-ს დირექტორის **არმენ ამბარცუმოვის** სახით, (შემდგომ - „მიმწოდებელი”) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით „მიმწოდებელი” ვალდებულია გადასცეს „შემსყიდველს” 48 ცალი SONY -ს ელემენტი. 1 ცალის ღირებულება 3.00 ლარი (CPV-31400000); 20 ცალი დისკი. 1 ცალის ღირებულება 1.60 ლარი (CPV-30200000); 3 ცალი მეხსიერება 32GB 1 ცალის ღირებულება 29 ლარი (CPV-30200000) და 1 ცალი 14.50 ლარის ღირებულების M40A მეხსიერება (CPV-30200000) (შემდეგში - „საქონელი”) (დაფინანსების წყარო – საბიუჯეტო სახსრები).

1.2 1.1. პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვა ხორციელდება გამარტივებული შესყიდვით, საქართველოს კანონის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მე-3 მუხლის 1) პუნქტის ს 1) ქვეპუნქტი – მონეტარული ზღვრების დაცვით.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1. შესყიდვის საერთო ღირებულება შეადგენს **277.50 (ორას სამოცდაჩვიდმეტი ლარი და 50 თეთრი)** ლარს.

3. შესყიდვის საქონლის ხარისხი

3.1. „მიმწოდებელი” ვალდებულია მიაწოდოს „შემსყიდველს" ისეთი „საქონელი", როგორც ეს შეესაბამება საქართველოში მოქმედ ხარისხის ნორმებს და სტანდარტებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება - ჩაბარების წესი

4.1. შესასყიდი „საქონლის“ მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა

5.1. „საქონელი” მოწოდებულ უნდა იქნას არაუგვიანეს 2016 წლის 15 ნოემბრისა.

6. ანგარიშსწორების ფორმა

6.1. „საქონლის” ღირებულების ანაზღაურება ხდება ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

6.2 ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან “ განხორციელდება ლარებში.

6.3. ანგარიშსწორება მოხდება შესაბამისი „მიღება – ჩაბარების" აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

7. მხარეთა უფლება და ვალდებულებები

7.1. „შემსყიდველი" და „მიმწოდებელი" მოქმედებენ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის სრული დაცვით.

7.2. **„შემსყიდველს" უფლება აქვს განახორციელოს კონტროლი მის მიერ შექმნილი ჯგუფის (ინსპექტირების ჯგუფი) მეშვეობით, „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.**

7.3. „მიმწოდებელი" ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

7.4. „შემსყიდველი" ვალდებულია „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას შესყიდული „საქონლის" ღირებულება.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

8.1 მხარემ, რომელმაც არ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, მეორე მხარეს უნდა აუნაზღაუროს ამით მიყენებული ზიანი.

9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის, თუ ეს გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, რომელიც სცილდება მხარეთა კონტროლს და რომლის მოქმედებაც არ არის დამოკიდებული ერთ-ერთი მხარის ნებაზე.

9.2. მხარეთა მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოების ლიკვიდაციამდე.

10. ხელშეკრულების ვადა

10.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 25 იანვრამდე.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ ქვეყანაში სავალუტო კურსის მკვეთრი გაუარესების შემთხვევაში მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2. ცვლილებები და დამატებები წინამდებარე ხელშეკრულებაში შესაძლებელია შევიდეს წერილობითი ფორმით, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

12. დავა

12.1 მხარეებს შორის დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით.

12.2 მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება

სასამართლო წესით.

13. სხვა პირობები

13.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანასწორი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, თითო ეგზემპლარი თითოეული მხარისათვის.

13.2. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

13.3. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების, ანდა მისი სხვა პუნქტების ბათილად ცნობას.

14. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი

სსიპ „საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი“

მის.: თბილისი. ბარნოვის ქ. №54
საიდენტ. კოდი 205065196
საბანკო რეკვიზიტები:
მიმღები ბანკი
სახელმწიფო ხაზინა
მიმ. დას.-ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TREGE22
ა/ა 7 0808 7162

მიმწოდებელი

შპს „ჯი-თი-ვი “

იურიდ. მის.: თბილისი, ვაზისუბნის IV მკრ-ნი, II კვ ბ.72
ფაქტ. მის.: თბილისი, კეკელიძის 1/3
საიდენტ. კოდი 206050066
საბანკო რეკვიზიტები:
სს „თიბისი ბანკი“-ს ც/ფ
ბანკის კოდი TBCBGE22
ანგარიშის №: GE92TB0600000019467384
ტელ.: 2 913069

გენერალური მენეჯერი

.. ..

ნინო ნახუცრიშვილი

დირექტორი

.. ..

არმენ ამბარცუმოვი